

**მასალები მეგრული ლექსიკონისათვის – III**  
**MATERIALS FOR THE DICTIONARY**  
**OF MEGRELIAN – III**

**ეკა დადიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი. საქართველო

**Eka Dadiani**

Akaki Tsereteli State University  
Kutaisi. Georgia

**ABSTRACT**

The dialect vocabulary of Megrelian is recorded and systematized in various dictionaries (I. Kipshidze 1914; P. Charaia 1994; G. Eliava 1997; O. Kajaia 2001-2002, 2009; A. Kobalia 2010, and others). The materials of Megrelian dictionary are also discussed in the works of D. Pipia, B. Kilanava, I. Kekelia and others. Dialect materials are immense, therefore, their recording is a never-ending process. Besides, a dialect and speech in general, constantly change: on the one hand, some lexical units disappear and, on the other hand, new ones emerge that require documentation.

Human speech, and the materials recorded at different times in various parts of Samegrelo and kept at the Scientific-Research Center for Kartvelology affiliated to Akaki Tsereteli State University contain such wordforms, phraseological expressions and morphological elements that failed to be reflected or have been attested with a modified form or a semantic nuance in published Megrelian dictionaries or scholarly works.

For clarity, we have divided the collected new dialect materials into several groups:

1. Words that are not attested in published Megrelian dictionaries;
2. wordforms that occur in modified forms;
3. wordforms that are attested with different semantic content;
4. phraseological expressions;
5. lexical units of Russian origin.

We believe, for the purposes of expanding and improving the Dictionary of Megrelian, gathering dialect materials is crucial.

**საკვანძო სიტყვები:** მეგრული ლექსიკონი, დიალექტური ლექსიკა, რუსული ლექსიკა მეგრულში

**Keywords:** Megrelian Dictionary, dialect vocabulary, Russian lexical units in Megrelian.

მეგრული დიალექტური ლექსიკა აღნუსხული და სისტემატიზებულია სხვადასხვა ლექსიკონებში (Кипшидзе 1914; ჭარია (1918) 1997; ელიავა 1997; ქაჯაია 2001-2009; ქობალია 2010...). მეგრული სალექსიკონო მასალა განხილულია აგრეთვე ცალკეულ კვლევებში (ფიფია 1998, კილანავა 1998, კეკელია 2013...) დიალექტური მასალა ამოუწურავია, შესაბამისად, მისი შეკრება უწყვეტი პროცესია. ამასთან, დიალექტი, ზოგადად მეტყველება მუდმივად იცვლება; ერთი მხრივ, იკარგება, ხოლო მეორე მხრივ, ჩნდება ლექსიკური ერთეულები, რომელთა დაფიქსირებაც აუცილებელია.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცულ სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს ჩაწერილ მასალაში, აგრეთვე ცოცხალ მეტყველებაში გვხვდება ისეთი სიტყვაფორმები, ფრაზეოლოგიური გამოთქმები თუ მორფოლოგიური ელემენტები, რომლებიც გამოქვეყნებულ მეგრულ ლექსიკონებსა თუ კვლევებში ვერ აისახა, ან კიდევ განსხვავებული ფორმით თუ სემანტიკური ნიუანსით ფიქსირდება.

ჩვენ მიერ შეკრებილი ახალი დიალექტური მასალა პირობითად რამდენიმე ჯგუფად დავყავით:

**ა) სიტყვები, რომლებიც გამოქვეყნებულ მეგრულ ლექსიკონებში არ არის შეტანილი:**

**არაოდეთ** - მოახლოებით, სავარაუდოდ.

**ასვალტი** - ასვალტი. ასვალტი მიღებულია ასვალტი ფორმისაგან ფონეტიკური ცვლილებით: ფ/ვ თანხმოვანთა მონაცვლეობით და ი ხმოვნის განვითარებით. შდრ. *ასვალტი* (ბერძნ.) - მინერალური წარმოშობის ფისისებრი ნივთიერება (ქეგლ).

**გიმოსაუტელი** - ამოწყვეტილი, გადაშენებული. გამოიყენება წყევლის ფორმულაში: *გიმოსაუტელ* თიმ ოჯახი „ამოწყვეტილი [მენახოს] მისი ოჯახი“.

**გოპულატირი** - ფუნთულა, მსუქანი, გაპუტკუნებული. იტყვიან ფრინველზე, ცხოველზე: *გოპულატირ* ქოთომიე „გაპუტკუნებული ქათამია“.

**გორგოზი** - გროვად, გუნდად, ჯგუფ-ჯგუფად ხმაურით სვლა, ფრენა. სკალეფ *მიგორგოზუნა* „ფუტკრები ჯგუფ-ჯგუფად მიფრინავენ“.

**მათოხი** - კულტივაცია. ბარგუამ უკულ სიმინს *მათოხის* გუკეთენა „გამარგვლის შემდეგ სიმინდს კულტივაციას გაუკეთებენ“. შდრ. მათუხუა - პირველადი თოხნა (ქობალია 2010).

**მანდალიონი** - აივნის კოჭი, რომელზეც იატაკის ფიცრები იგება. აღნიშნული ლექსიკური ერთეული იდენტური მნიშვნელობით დასტურდება: ქართლურში (ბეროზაშვილი... 1981), ქიზიყურში (მენტეშაშვილი 1943). შდრ. *მანდალიონი* (იმერ.) - შენობის გარე მხრიდან, გარშემო, ჭერის, კოჭების შვერებზე აკრული ფიცარი (<http://corpora.co/#/dictionaries>).

**მიწა** - ქსოვილის ძირითადი ფერი, ფონი. ხალათის ჩე *მიწა* უღუ „ხალათს თეთრი მიწა (ფონი) აქვს“. შდრ. *მიწა* ამავე მნიშვნელობით

გამოიყენება ქართულში: თეთრი მიწა აქს და ლურჯი წვრილ-წვრილი ყვავილები (ბეროზაშვილი... 1981).

ქეგლ-ში მიწა სიტყვის ეს მნიშვნელობა გაანალიზებული არ არის.

**მოწყაპულერი** - მოსვრილი, მოთითხნილი, მოთხუპნილი.

**ტურმუზია** - ღონიერი, ჩაფსკვნილი. ტურმუზია ბოში რე „ჩაფსკვნილი ბიჭია“.

**ქომანარცხუ** (გურს) - გულზე მომხვდა, არ მესიამოვნა. თიმ ნარაგადიქ გურს *ქომანარცხუ* „მისი ნათქვამი გულზე მომხვდა“. შდრ. დანარცხება - კაცის მიწაზე დახეთქება (ორბელიანი 1991).

**ცორდოლო/ე** - უქნარა, მუქთახორა. მუმულ სკა *ცორდოლო* რე „მამალი ფუტკარი მუქთახორა“.

**შოტე** - საქმის ცუდად მკეთებელი, ზერელე, უწესრიგო. ნამთინე ოსურ *შოტე* რე „ზოგიერთი ქალი უწესრიგო“.

**ჩვა! ჩვა!** - შორისდ. იხვის მოსახმობი.

**ჩიგეგი** - ბებრუხანა.

**ხე-ბუტკა** - უქნარა, უსაქმური. იტყვიან ადამიანზე, რომელსაც ხელიდან არაფერი გამოსდის. შდრ. *ბუტკა* - შეტყუპებული, შეტკუცული; *ბუტკა* სიმინდი - სიმინდის ჯიში (ქობალია 2010).

**ბ) სიტყვაფორმები, რომლებიც ლექსიკონებში განსხვავებული ფორმით ან სემანტიკით დასტურდება:**

**აიპაით** - ზმნისართი: სწრაფად, სულმოუთქმელად, ჰაიჰარად. *აიპაით* ორთუ საქმეს „სულმოუთქმელად აკეთებს საქმეს“. შდრ. აი-პაი - ესაო, ისაო (სიტყვის მასალა) (ქობალია 2010).

**ა/ოკობარტყუა** - დაჩუტვა, ჩაფუშვა, გაბრტყელება, დაპატარავება, მოჭკნობა. შდრ. *ბარტყუა* - 1. ბერტყვა, ფერთხვა, 2. რბილად გარტყმა; პერტყვა (ხელისა); *პარტყუა* - ბერტყვა; დარტმა (მსუბუქად); ცემის ხმა, - ტყაპუნი (ქაჯაია 2001). *ბარტყუ* - ხის რგოლი, სალტე; *პარტყუ* - ღბილი, უმწეო, დამყოლი (ქობალია 2010).

**აჯგა-მუჯგა** - ნაყარ-ნუყარი, სხვადასხვა ჯურის, ნარევი. *აჯგა-მუჯგა* ხალხიე, მუთუნ ვაგგაგინე „სხვადასხვა ჯურის ხალხია, ვერაფერს გაუგებ“. შდრ. *აჯა-მუჯა* - გაურკვეველად მოლაპარაკე (ქაჯაია 2001). *აჯაბაჯა* - ზმნს. არეული ნაბიჯით, აცაბაცა (ქეგლ).

**ბიო! ბიო!** - შორისდ. ბატის მოსახმობი. შდრ. *ბიო* - ზოოლ. იხვის ნაშიერი (ქაჯაია 2009). *ბიო-ბიო!* (ქართლ.) - ინდაურების დამახება (შ. მიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.) (ღლონტი 1984).

**გალე(ნ)** (მარას) - მომავალ / მომდევნო (კვირას). *გალე(ნ)* მარას ცვანას დოფხაჩქუნთ „მომავალ კვირას ყანას გავთოხნით“.

შდრ. *გალე* - გარე, გარეთ; *გალენი* - გარეული, გარეთი (ჭარაია 1997); *გალე* - ზმნზ. 1. გარეთ (საპირისპ. დინახალე), 2. თანდებულად გამოიყენება და ნიშნავს: გარეთ, გარდა, გარეშე. შდრ. ლაზ. *გალე* გარეთ (ნ. მარი); *გალენი* - გარეთა, გარეული (ქაჯაია 2001); *გალე* - გარეთ; გარდა, გარეშე; *გალენი* - გარეთა, გარეშე, გარეგანი, მეოთხე განზომილება, მიღმა სამყარო; გარეული (ნადირი); საგარეო (ტანსაცმელი); ზედა ტანსაცმელი; უცხოეთი, გარექვეყანა (ქობალია 2010).

**გეცაცუა** - დაქუცმაცება, გახვიერება (მიწის). საორტვინე დიხა ჯგირო *ქეგიოცვაცუე* ოკო „საზოსტნე მიწა კარგად უნდა გააფხვიერო. შდრ. ცვაცუა - წრუპვა (ელიავა 1997); ცვაცუა - ცოტ-ცოტად შესმა სასმელისა; წრუპვა (ქაჯაია 2002); *გეცვაცუა* - შესმა, ცოტას დაღევა; ცვაცუა - მცირედის ჭამა, ნამცეც-ნამცეც, უღონოდ ჭამა; *გეცვაცვავა* - მცირედის დასხმა, ზედ დაწანწკარება; *ცვაცვალი* - წვეთვა, წანწკარი; მარცვალ-მარცვალ, უღონოდ საუბარი (ქობალია 2010).

**გოყვარყვალერი** - ბოლომდე შევსებული, დასრულებული. *გოყვარყვალერ* ხუთ საათიე „ზუსტად ხუთი საათია“. შდრ. *ყვარყვალი* ჩილამურიში - ფრქვევა ცრემლთა, დაპაღუპით ცრემლთა დენა (ჭარაია 1997); *ყვარყვალი* - წურწური (ფიფია 1999); *ყვარყვალი* - ფრქვევა, წურწური; *ყვარყვალია* უჩა - ძლიერ შავი (ქაჯაია 2002); *გოყვარყვალი* - ცრემლობა (რისიმე გარშემო); *ყვარყვალი* - ღვარღვალი ცრემლისა; ხის ეყვანი, ღვარღვალი (ქობალია 2010).

**დიხაჯგუა** - უგემური (მიწასავით) - ოჭკომალ *დიხაჯგუა* რე „საჭმელი უგემურია“ (ზედმიწ.: მიწასავითაა). შდრ. *დიხა* - მიწა, ადგილი, თიხა (ქაჯაია 2001).

**ზღირტუა** - სხლეტა, დაცურება. კუჩხიქ *გეუზღირტუ* „ფეხი დაუსხლტა“. შდრ. *ზღირტატი*, *ზგგლატი* (ჩხილატი) - სხლტომა, სხლეტა, ფეხის გაცურება (ჭარაია 1997); *ზღირტგ* - მოლიპული (ფიფია 1999); *ზირტუ* - სხლტომა (ელიავა 1997); *ზღირტა*, *ზგგლატა* - სხლტომა, სხლეტა, აცურება; *ზილატა* - ცურება, სრიალი, სხლეტა; *ზირტუა*. იხ. *ზილატა*; *ზილოტი*, *ზიოტი* - სრიალი (წებოვანი, ლორწოვანი რისამე), სხლეტა, ცურება (ქაჯაია 2002); *ზილატა* - სხლტომა, ერთმანეთს მოღლეტა; *ზღირტა* - სხლტომა, სხლეტა; *ზირტუ* (*ზგრტ*) - ლიპი, სლიპინა (ქობალია 2010).

**ზღირტ-** < **ზგირტ-** (ფონეტიკურ ნიადაგზე: გ / ღ თანხმოვანთა მონაცვლეობით).

ს.ქართვ. დონეზე ალადგენენ \**ზგილ-* ძირს: ქართ. *ზგლ-* (და-ზგლ-უნ-დ-ა „დაცურდა ყინულზე“), მეგრ. *ზგილ-* (*ზგილ-ატ-ა/ზგირ-ატ-ა* „დაცურება ყინულზე“ (ფენრიხი... 2000: 210).

**კარტუა** - ძლიერი ტკივილი, ჩხვლეტა, წიწვნის. კიბირს *მიკარტუანს* „კბილი მტკივა“ (ზედმიწ. მკორტნის). შდრ. *კარტუა*, *კინოკარტუა* - დატუქსვა (ქაჯაია 2002); *კარტუა* - ავერლოკი, სახელდახელოდ კერვა (ქობალია 2010).

შდრ. *კორტნის* - 1. ნისკარტით გლეჯს, წიწვნის // პირით გლეჯს ფოთლებს, ნეკერს. 2. უსწორ-მასწოროდ თლის (ხეს...), ჩორკნის (ხეს) (ქეგლ).

**მოჭვა** - მეგრულში გამხმარ სიმინდს, რომელიც ძნელად იფშვნება, ეძახიან მოჭვას.

შდრ. *მოჭვა/მონჭვა* - კრუხი (Кипшидзе 1914; ჭარაია 1997; ელიავა 1997; ფიფია 1999; ქაჯაია 2002; ქობალია 2010). *მოჭვაცვალი* ძღაბი - კრუხისნარი გოგო. // გადატ. საქმის ერთგული, მონდომებული (ქაჯაია 2009).

გურ. *მოჭვა* - კრუხი (დლონტი 1984); ქეგლ-ში *მოჭვა* განმარტე-ბულია როგორც - კუთხ. (გურ.) იგივეა რაც კრუხი.

საინტერესოა ქართლური დიალექტი, სადაც კრუხს - იტყვიან გაღვივებულ, დაძველებულ კარტოფილზე, სიმინდზე, ლობიოზე (დათესვის დრო რო მოუვა, გვითქვამს ხომე, კრუხიაო კარტოფილზე, ლობიოზე, სიმინდზე, ყველაფერზე, რაც თესლეულია, პურზე - არა) (ბეროზაშვილი... 1981).

*მოჭვა/კრუხი* სიტყვაფორმათა განსხვავებული მნიშვნელობა ლექსიკონებში არ არის ასახული.

**პაჭა-პუჭა** - წვრილმანი. შდრ. *პიჭუ-პაჭუ* - წვრილმანი; წვრილ-წვრილი (ქაჯაია 2002); *პიჭ-პაჭუ* - წვრილმანი, რამე-რუმე (ქობალია 2010). შდრ. *პაწაპიწი* (მესხ.) ცოტ-ცოტა, პაწაწა, ნამცეც-ნამცეც (ი. მაის.) (დლონტი 1984).

**ტკვარჩალი** - ღაპაღუპით ცრემლის ფრქვევა. ჩილამურს *უტკვარჩალუანს* „ცრემლი ღაპაღუპით მოსდის“. შდრ. *ტკვარჩალი* ქოთომიში - კრიახი, ქათმის ხმაურობა გაჭირვების დროს (ჭარაია 1997); *ტკვარჩალი* - ხმაური, ქალების (გულიანი) სიცილი (კილანავა 1998); *ტკვარჩალი* - 1. კრიახი, ქათმის ხმაურობა გაჭირვების დროს; 2. ქალების გულიანი სიცილი; *ტკარჩალი* - 1. ტკარცალი, ტკრციალი, კისკისი, 2. ფრინველთა გაფრენისას ფრთების ხმაური, - ტკრციალი, ტკარცალი; კრიახი (ქაჯაია 2002); *ტკვარჩალი* - ტკარცალი; ფრთების შეხლის ხმა; *ტკარჩალი* - ტკარცალი (ქობალია 2010).

შდრ. *ტკ(ვ)არცალი 1* - (იმერ.) - სიცილი, კისკისის (ი.ქავთ.); *ტკვარცალი 2* - (იმერ.) - კვერცხის დადების შემდეგ ქათმის კაკანი; ხმამაღალი კარკაცი (ვ.ბერ.) (დლონტი 1984). *ტკარცალი* - მაღალი, მკვეთრი ხმით სიცილი, - კისკისი, ტკრციალი (ქეგლ).

**ტორკუ** - უხვად არის, თავსაყრელადაა. ბაზარს იფრელ *ტორკუ* „ბაზარში ყველაფერი თავსაყრელადაა“. შდრ. *ტორკაფი*, იგივეა, რაც *ტორკუა* - მაგრად ცემა; ძგერება, ჯახება. // გადატ. ბევრის სწრაფად ჭამა (ქაჯაია 2009); *ტორკუა* - დატორვა, ცემა; *ტორკაფი* - ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი, ტყლაშუნი ენისა; ცემა (ქობალია 2010).

**ფარაკელა** - ფარღალალა (სახლი). შდრ. *ფარაკა* ცუდე - სახლი, რომელიც ოთხი კედელია და შიგ არაფერია. შდრ. ყიზიყ. *ფარაქალი* - ფიცრული სახლის მჭიდრო კედელი (ს.მენტემ., ა.დლ.) (ქაჯაია 2002); *ფარაქა* - ნაპრალი, ფულურო; *ფარაქელი* - გამოხრული, გამოღრუტნული, ღრუ (ქობალია 2010); *ფარაქალი* (კახ.) ფიცრული სახლის მჭიდრო კედელი (ს. მენტემ.) (ქეგლ).

**ღერა/ემია** - ღერო (ჩალის...). ცვანას *ღერამიეფ* დოფშაყარეთ „ყანაში ჩალის ღეროები შევაგროვეთ“. შდრ. *ღერი* - ღერი, ღერო; *ღერია* - კნინ. ღერი (ქაჯაია 2002); *ღერი* - ღერო, ერთი ცალი; შემის ნაფოტი; ზრო, ღერო (ქობალია 2010).

**ღურელი** - გადატ. მდარე, ცუდი. *ღურელ* ჯიშიმ ჩხულეზ მიცუნა „ცუდი ჯიშის ძროხები ჰყავთ“. შდრ. *ღურელი* - მიცვალებული, მკვდარი (ქაჯაია 2002).

**შამბიჯგუა** - სადი, მკვრივი, უცვლელი. წყითეს ცვალ *შამბიჯგუა* რე „წათხში ყველი მკვრივი / სადი არის“.



შდრ. *შამბი* - შაბი (Кипшидзе 1914); *შაბი, შამბი* - შაბი (ჭარაია 1997); *შაბი, შამბი* - შაბი (ქაჯაია 2002). *შაბი, შამბი* - შამბი, ლიხი, მაღალი და ღერომსხვილი ბალახი; შაბი (თეთრი ან ცისფერი კრისტალური ნივთიერება) (ქობალია 2010).

*შამბი* - მაღალი და სხვილი ბალახი (ორბელიანი 1991-1993); *შაბი* (არაბ. შაბი) - თეთრი, გამჭვირვალე კრისტალური ნივთიერება - გოგირდმჟავას ერთ- და სამვალენტის ლითონების ორმაგ მარილი) (ქეგლ).

**ციბუცია** - პაწაწინა, უსუსური (კნინ.). შდრ. *ციბა, ცეზა (ცი/გზას)* ზოოლ. კატა; *ციბუნია (ციბუნის)* კნინ.-მოფერ. კატა, კატუნა; *ციციბი-ი (ციციბის)* იგივეა, რაც *ციციბუა*, - ძალიან პატარა. *ციციბუა, ციციბუნია* კნინ. იგივეა, რაც *ციციბი*, - ძალიან პატარა (ქაჯაია 2002). - *ცია* - კნინობითის საწარმოებელი სუფიქსი: *კერი-ცია* (შდრ. კერი) კერატი; *ცორი-ცია* (შდრ. ცორი) დედალი ღორი (ქაჯაია 2002).

შდრ. *ციბა (ჩიბა)* - ასაკმცირე ძალი (ორბელიანი 1993).

**ჭაკას** - საუბ. ცუდად. ჭაკას რე საქმე „ცუდადაა საქმე“.

შდრ. *ჭაკი* - დედალი ცხენ, თხა (Кипшидзе 1914); *ჭაკი* - ჭაკი (ცხენი) (ჭარაია 1997); *ჭაკ-ი* (ჭაკის) დედალი, ჭაკი. // გადატ. მსუბუქი ქცევის ქალი. *ჭაკი ცხენი* - დედალი ცხენი, - ფაშატი. *ჭაკი თხა* - დედალი თხა (ქაჯაია 2002); *ჭაკი* - ჭაკი, მდედრი (ცხენი, თხა) (ქობალია 2010).

*ჭაკი* - დედალი ცხენი ან ვირი, - ფაშატი. // საუბ. მხდალი, ლაჩარი, უვარგისი, დედალი (მნიშვ. 3) (ქეგლ.).

**ჯაბურ ჩაფლა** - ხისძირიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი, რომელსაც ძველად იცვამდნენ. შდრ. *ჩაფლა / ჯაბრული ჩაფლა* - ჯაბრული ქალამანი (ქაჯაია 2002).

#### გ) ფრაზეოლოგიური გამოთქმები

**გურქ წკვერემშა მიდართუ** - ძალიან შემეშინდა, ელდა მეცა. სიტყვასიტყვით: „გული ქვესკნელში ჩავიდა“. *წკვერემი* - უფსკრული, ქვესკნელი; წყვდიადი (ქაჯაია 2002).

**დიხაშ გურს მოსოფუნს** - 1. კარგად, ერთიანად ამოდის (ნათესი); 2. მორბის მთელი სისწრაფით, თავქუდმოგლეჯით... სიტყვასიტყვით: „მიწის შუაგულს ხეთქავს“.

შდრ. *სოფავი, სოფუა, გოსოფუა, დოსოფუა* - რვატ, უადრიტ (Кипшидзе 1914); *სოფუა* - ხევა, გლეჯა (ჭარაია 1997); *მოსოფუა* - მოგლეჯა; *სოფუა* - გახევა; *იშასოფუა* - ამოხევა, ამოგლეჯა, ამოფრქვევა; *მიკოსოფუა* - მოგლეჯვა (ელაიავა 1997);

*მოსოფუა* - მოგლეჯა, მოწყვეტა; გადატ. ქუხილით წამოსვლა; ჯლიგინით წამოსვლა; *სოფუა* - 1. გლეჯა, წყვეტა; წეწვა, ხლეჩა; ხევა. 2. მირტყმა, მიჯახება (ქაჯაია 2002);

**დიხაშ გური** „მიწისგული“; *მოსოფუა* - მოსკდომა, მოწყვეტა, მოვარდნა, მოხეთქვა, მოგლეჯა, მოხევა; მკვეთრად დამვრა მანქანისა; *სოფუა* - ხევა, გლეჯა; ხეთქვა (ქობალია 2010);

**ქოთქუ ბურდლამი** „უჩვეულო, დაუჯერებელი რამ თქვა“. ზედმიწ.: ბუნდღლიანი.

შდრ. ბურდღა - ბურტყლი, ბუმბული, ბალანი (ჭარაია 1997; ელიავა 1997; ქაჯაია 2001; ქობალია 2010).

**ღორონს ცაშე გეგმიონანს** - შეუძლებელს შეძლებს. ზედმიწ.: „ღმერთს ციდან ჩამოიყვანს“.

**წვალებათჩხვარილი** - ბევრი ნაჯაფი, ნაწვალეები. ზედმიწ.: „წვალებით გაცეხვილი / გალექილი“. შდრ. ჩხვარუა - გაცეხვა გალექვა (Кипшидзе 1914; ელიავა 1997; ქაჯაია 2002; ქობალია 2010).

**დ) რუსული წარმომავლობის ლექსიკა** მეგრულ მეტყველებაში სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებით არის წარმოდგენილი და გარკვეულ შემთხვევებში სემანტიკურადაც არის შეცვლილი. მაგ.:

**ბუტილკა** (რუს. Бутылка ბოთლი). იტყვიან ქალის კაბაზე, რომელიც ტანზე შემოტმასნილი, ბოთლის ფორმისაა: *ბუტილკა კაბა მუკაქუნს „შემოტმასნილი კაბა აცვია“* (ზედმიწ. ბოთლივით [ფორმის] კაბა აცვია“).

**გრეიკა** (რუს. Грелка სათბურა). წარმოითქმის როგორც *გრეი/იკა*; სემანტიკა უცვლელია.

**კარჩოკა** (რუს. корчевка ამოძირკვა, ამოფხვრა, ამოყრა). ტყა მუთ ქორდუ, არბა დოკარჩოკეს „ტყე რაციყო, ყველა გაჩეხეს“. აქ ნასესხები სიტყვის ფორმაც და მნიშვნელობაც უცვლელია.

**კლიოში** (რუს. клеш კლოში) - გაშლილი ქვედაბოლო.

**კრანტი** (რუს. Крантკანი. ჰოლანდ. რუს. ენის მეშვეობით). მეგრულში სიტყვაში ტ თანხმოვანი განვითარებულია, მნიშვნელობა იგივეა. შდრ. კრანი იგივეა, რაც ონკანი (ქეგლ).

**კრიშკუა** (რუს. Крышка ხუფი, სახურავი, თავსახური, სარქველი). ნასესხები სიტყვის სემანტიკა იგივეა.

**კულოკი** (რუს. Кулек ტომსიკა) - პარკი (ქაღალდისა).

**მისკა / მისკია** (რუს. Миска ჯამი). ორგვარი ფორმით იხმარება: *მისკა / მისკია*.

**სავისტავკო** (რუს. Выставка გამოფენა) - საოცარი, საარაკო, უჩვეულო... რუსული სიტყვა ქართული აფიქსებით არის გაფორმებული. მნიშვნელობაც მეტ-ნაკლებად შეცვალა.

**სეტკა** (რუს. сетка - ბადე, ცხრილი). სიტყვის ფორმა და სემანტიკა უცვლელია.

**ფე(რ)ჩატკი / ფე(რ)ჩკატი** (რუს. Перчатка - ხელთათმანი). სიტყვა დამკვიდრებულია მრავლობითის ფორმით, რომელიც შეცვლილია ფონეტიკურად: *პერჩატკი > ფე(რ)ჩატკი > ფე(რ)ჩკატი > ფე(რ)ჩკატი*.

**შურნოკი** (რუს. шнурок - კნინ. შნური, ზონარი); თასმა, შესაკრავი. განხორციელდა ფონეტიკური ცვლილება (მეტათეზისი): *შნუროკი > შურნოკი*. სიტყვის სემანტიკა იგივეა.

**ჩაზადანი** (რუს. Чемодан - ჩემოდანი). შდრ. სპარს. *ჯამედან* (ქეგლ).

განაალიზებული დიალექტური მასალა საინტერესოა როგორც ფორმოზოვი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით და მნიშვნელოვანია მეგრული ლექსიკონის შევსება-სრულყოფისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ბეროზაშვილი... 1981:** ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე. თბილისი, 1981.
- ელიავა 1997:** ელიავა გ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები). თბილისი, 1997.
- კეკელია 2013:** კეკელია ი., მასალები მეგრულ-ქართული ლექსიკონისათვის, 2013. <https://www.facebook.com/notes/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83...> დამოწმება: 14.10.2020.
- კილანავა 1998:** კილანავა ბ., ცხრასი მეგრული სიტყვა (მასალები მეგრული ლექსიკონისათვის). თბილისი, 1998.
- მენტეშაშვილი 1943:** მენტეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი. თბილისი, 1943. <http://corpora.co/#/dictionaries>.
- ორბელიანი 1991-1993:** ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული. თბილისი, ტ. I – 1991, ტ. II – 1993.
- რუსულ-ქართული ლექსიკონი** <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=9&t=dict&w1=> დამოწმება: 12.10.2020.
- ქობალია 2010:** ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი. თბილისი, 2010.
- ჭარაია 1997:** ჭარაია პ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1997.
- ფენრიხი... 2000:** ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი, 2000.
- ფიფია 1999:** ფიფია დ., მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები. თბილისი, 1999.
- ქაჯაია 2001-2009:** ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, ტ. I – 2001, ტტ. II-III -2002, ტ. IV – 2009.
- ქეგლ:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>. 10.09.2020.
- ღლონტი 1984:** ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი, მეორე გამოცემა. თბილისი, 1984.
- Кипшидзе 1914:** Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем. Санкт-Петербург, 1914.